**ვამტკიცებ:**

**საქართველოს კინემატოგრაფიის**
**ეროვნული ცენტრის დირექტორი**
**/ზურაბ მაღალაშვილი/**

**----------**

**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის**
**სამგზავრო თანხის გაცემის წესი**

**პუნქტი 1.** სამგზავრო თანხის გაცემის წესი არეგულირებს სსიპ-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდეგში – კინოცენტრი) ბიუჯეტიდან კინომოღვაწეების, ფილმის პროექტის ავტორთა და ფილმის შემოქმედებითი და ტექნიკური ჯგუფის წევრთა საერთაშორისო კინოფესტივალებში, კინობაზრობებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით სამგზავრო თანხის გაცემას.

**პუნქტი 2.** სამგზავრო თანხის მოთხოვნის თაობაზე კინოცენტრში შემოსულ დოკუმენტაციას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი სამგზავრო თანხის გამცემი კომისია (შემდეგში-კომისია). კომისია შედგება 4 წევრისგან, რომელიც კომპლექტდება კინოცენტრის თანამშრომლებისგან. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის არანაკლებ 2 წევრი.

**პუნქტი 3.** სამგზავრო თანხა გაიცემა წელიწადში არა უმეტეს ორისა:

ა) მიწვეული ფილმის შემოქმედებითი ან ტექნიკური ჯგუფის ერთ-ერთ წევრზე, თუ ფილმი მონაწილეობს საერთაშორისო კინოფესტივალზე საერთაშორისო კონკურსში ან სპეციალურ პროგრამაში.

ბ) პროექტის ერთ-ერთ ავტორზე, თუ ავტორის მონაწილეობა ღონისძიებაში ხელს უწყობს ფილმის პროექტის განვითარებას;

გ) კინომოღვაწეზე, თუ კინომოღვაწის მონაწილეობა ღონისძიებაში ხელს უწყობს მის პროფესიულ განვითარებას.
დ) ფილმის ან პროექტის ერთ-ერთ ავტორზე, თუ იგი მონაწილეობს კინოცენტრის მიერ საერთაშორისო ფესტივალზე ორგანიზებულ ღონისძიებაში.
ე) კინომოღვაწეზე, თუ იგი მიწვეულია საერთაშორისო კინოფესტივალზე ან სხვა საერთაშორისო კინოღონისძიებაზე ჯილდოს მისაღებად ან ნომინაციაში წარსადგენად.

**პუნქტი 4.** იმ შემთხვევაში, თუ კინოცენტრსა და საერთაშორისო კინოფესტივალს (ან სხვა ორგანიზაციას) შორის არსებობს წერილობითი ან/და ზეპირი შეთანხმება კონკრეტული კინომოღვაწის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიულ ნაწილში (ბაზრობა, ტრენინგი და ა.შ) ჩართულობის შესახებ, ასევე თუ ფილმი მიწვეულია მაღალი კლასის საერთაშორისო ფესტივალზე, მაშინ ასეთ პირზე დასაშვებია დამატებითი სამგზავრო თანხის გაცემა, მიუხედავად იმისა მან ამოწურა თუ არა წინამდებარე სამგზავრო თანხის გაცემის წესის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ლიმიტი.
თუ ფილმი მიწვეულია მაღალი კლასის საერთაშორისო ფესტივალის, საკონკურსო პროგრამაში სამგზავრო თანხა შეიძლება გაიცეს მიწვეული ფილმის შემოქმედებითი ან/და ტექნიკური ჯგუფის არა უმეტეს 3 წევრზე.

**პუნქტი 5.** სამგზავრო თანხა მოიცავს ორმხრივი მგზავრობის ხარჯის ანაზღაურებას (თვითმფრინავი ეკონომ - კლასი, მატარებელი, ავტობუსი).

**პუნქტი 6.** მგზავრობის თანხის მოთხოვნისათვის განმცხადებელი კინოცენტრში 15 დღით ადრე წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:
ა) ოფიციალურ მოწვევას ღონისძიების ორგანიზატორისგან.
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლს.
გ) კინოცენტრის დირექტორის სახელზე შედგენილ განცხადებას, რომელშიც მიეთითება მგზავრობის ზუსტი თარიღი და მიმართულება.

წინამდებარე სამგზავრო თანხის გაცემის წესის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძვლით სამგზავრო თანხის მოთხოვნისათვის განაცხადი უნდა მოიცავდეს მხოლოდ მე-6 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას.

**პუნქტი 7.** კომისია უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:
ა) სამგზავრო თანხის გამოყოფის შესახებ;
ბ) სამგზავრო თანხის გამოყოფაზე უარის თქმის შესახებ;
გ) სამგზავრო თანხის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ.
კომისიის გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის ერთ-ერთი წევრი და ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
გადაწყვეტილება სამგზავრო თანხის მიღების შესახებ განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარდგენიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში.

**პუნქტი 8.** კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, კინოცენტრი სამგზავრო თანხის მიმღებთან აფორმებს ხელშეკრულებას და ურიცხავს მას ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამგზავრო თანხას.

სამგზავრო თანხის მიმღებმა პირმა სამგზავრო ბილეთი უნდა დაუბრუნოს კინოცენტრს ქვეყანაში დაბრუნებიდან 5 დღის ვადაში.